

გამოყენების ინსტრუქცია

TIVICAY/ტივიქეი™

დოლუტეგრავირი

ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობა

10 მგ - თეთრი, მრგვალი, ორმხრივამოზნექილი აბები, რომელთა ერთ მხარეს ამოტვიფრულია 'SV 572' და მეორე მხარეს - '10'.

25 მგ – ღია ფერის ყვითელი, მრგვალი, ორმხრივამოზნექილი აბები, რომელთა ერთ მხარეს ამოტვიფრულია 'SV 572' და მეორე მხარეს - '25'.

თითოეული ტაბლეტი შეიცავს 10 მგ, 25 მგ, ან 50 მგ დოლუტეგრავირს (დოლოტეგრავირის ნატრიუმის ფორმით).

ფარმაცევტული ფორმა

შემოგარსული აბები.

კლინიკური მახასიათებლები

ჩვენება

ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსის (აივ ინფექცია) მკურნალობა სხვა ანტირეტროვირუსულ საშუალებებთან ერთად კომბინაციაში ზრდასრულებსა და ბავშვებში 6 წლის შემდეგ.

დოზირება და მიღების წესი

დოზირება

ტივიქეის თერაპია დანიშნული უნდა იყოს ექიმის მიერ, რომელსაც გამოცდილება აქვს აივ ინფექციების მართვაში.

ტივიქეის მიღება დასაშვებია საკვებთან ერთად ან მის გარეშე.

მიღების წესი

ზრდასრულები

აივ-1- ვირუსით ინფიცირებული პაციენტები, რომლებსაც არ აქვთ რეზისტენტულობა ინტერგრაზას კლასის მიმართ.

ტივიქეის რეკომენდირებული დოზაა 50 მგ დღეში ერთხელ.

აივ-1-ვირუსით ინფიცირებული პაციენტები, რომლებსაც აქვთ რეზისტენტულობა ინტერგრაზას კლასის მიმართ (დოკუმენტირებული ან კლინიკურად საეჭვო)

ტივიქეის რეკომენდირებული დოზა არის 50 მგ დღეში ორჯერ. ასეთ პაციენტებში გადაწყვეტილება ტივიქეის გამოყენებასთან დაკავშირებით, მიღებული უნდა იქნეს ინტერგრაზის რეზისტენტულობის სქემის მიხედვით (იხ. კლინიკური კვლევები).

მოზარდები

პაციენტებში, რომლებიც ადრე არ მკურნალობდნენ ინტეგრავირს ინჰიბიტორით (12-დან 18 წლამდე ასაკის და 40 ან 40 კგ-ზე მეტი წონის მქონე), ტივიქეის რეკომენდირებული დოზა არის 50 მგ დღეში.

არასაკმარისია მონაცემები იმისათვის, რომ მოხდეს ტივიქის დოზის რეკომენდირება ინტეგრას ინჰიბიტორისადმი რეზისტენტულ, 18 წლამდე ასაკის მოზარდებში.

ბავშვები

აივ-1 ინფექციით ინფიცირებულ პაციენტებში ინტეგრას კლასის მიმართ რეზისტენტულობის გარეშე, ტივიქის რეკომენდირებული დოზა (6-დან 12 წლამდე ასაკის პაციენტებში) განისაზღვრება ბავშვის წონის მიხედვით. დოზის რეკომენდაციები წონის შესაბამისად მითითებულია ცხრილში ქვემოთ.

ცხრილი 1 პედიატრიული დოზის რეკომენდაციები

სხეულის წონა (კგ)	დოზა
15 -დან 20 კგ-მდე	20 მგ დღეში ერთხელ (მიიღება ორჯერადად 10 მგ აბი)
20-დან 30 კგ-მდე	25 მგ დღეში ერთხელ
30-დან 40 კგ-მდე	35 მგ დღეში ერთხელ (მიიღება ერთჯერადად 25 მგ და მეორე მიღებაზე 10 მგ აბი)
40 ან მეტი	50 მგ დღეში ერთხელ

არასაკმარისია უსაფრთხოების და ეფექტურობის მონაცემები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ტივიქის დოზის რეკომენდირება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში ან 15 კგ-მდე წონის პაციენტებში.

არასაკმარისია მონაცემები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ტივიქის დოზის რეკომენდირება ინტეგრას ინჰიბიტორებისადმი რეზისტენტულ ბავშვებში.

ხანდაზმულები

შეზღუდულია მონაცემები ტივიქის გამოყენების შესახებ 65 წლის ასაკის და ხანდაზმულ პაციენტებში. თუმცა, არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ხანდაზმულ პაციენტებს შესაძლოა ახალგაზრდებთან შედარებით განსხვავებული დოზა დასჭირდეთ (იხ. ფარმაკოკინეტიკა - პაციენტთა სპეციალური პოპულაციები).

თირკმლის უკმარისობა

არ არის საჭირო დოზის რეგულირება პაციენტებში, რომლებსაც აღენიშნებათ თირკმლის მსუბუქი, საშუალო ან მძიმე ფორმის (კრეატინინის კლირენსი (CrCl) <30 მლ /წთ, არ სარგებლობს დიალიზით) უკმარისობა. არ არსებობს მონაცემები დიალიზზე მყოფი პაციენტების შესახებ, თუმცა ამ პოპულაციაში მოსალოდნელი არ არის განსხვავებული ფარმაკოკინეტიკა (იხ. ფარმაკოკინეტიკა - პაციენტთა სპეციალური პოპულაციები).

ღვიძლის უკმარისობა

არ არის საჭირო დოზის რეგულირება პაციენტებში, რომლებსაც აღენიშნებათ ღვიძლის მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის უკმარისობა (ჩაილდ-პიუ კლასი A ან B). არ არსებობს მონაცემები პაციენტებზე, რომლებსაც აღენიშნებათ ღვიძლის მძიმე ხარისხის უკმარისობა (ჩაილდ-პიუ კლასი C) (იხ. ფარმაკოკინეტიკა - პაციენტთა სპეციალური პოპულაციები).

უკუჩვენებები

TIVICAY უკუნაჩვენებია დოფეტილიდთან ან პილსიკაინიდთან ერთად კომბინაციაში.

TIVICAY უკუნაჩვენებია პაციენტებში, რომლებსაც აქვთ გამოხატული ჰიპერმგრძობელობა დოლუტეგრავირზე ან მის შემადგენელ ნებისმიერ შემავსებელზე.

სიფრთხილე და უსაფრთხოების ზომები

• ჰიპერმგრძობელობის რეაქციები

არსებობს მონაცემები ჰიპერმგრძობელობის რეაქციებზე ინტეგრას ინჰიბიტორებთან მიმართებაში, მათ შორის ტივიქიზე და ისინი ხასიათდება გამონაყრით, ზოგადი სიმპტომ და ზოგჯერ, ორგანოთა დისფუნქციით, მათ შორის ღვიძლის დაზიანებით. ჰიპერმგრძობელობის ნიშნების ან სიმპტომების განვითარების შემთხვევაში (მათ შორის და არა მხოლოდ, მწვავე გამონაყარი ან გამონაყარი სიცხის თანხლებით, საერთო სისუსტე, დაღლილობა, კუნთების ან სახსრების ტკივილი, ბუშტუკები კანზე, პირის ღრუს დაზიანებები, კონიუნქტივიტი, სახის შეშუპება, ჰეპატიტი, ეოზინოფილია, ანგიოედემა). საჭიროა პაციენტის კლინიკური მდგომარეობის მათ შორის ღვიძლის ამინოტრანსფერაზების კონტროლი და შესაბამისი მკურნალობის დანიშვნა. თუ არ მოხდება ტივიქის ან სხვა საექვო მედიკამენტის შეწყვეტა ჰიპერმგრძობელობის რეაქციების გამოვლენისთანავე, ამან შესაძლოა გამოიწვიოს სიცოცხლისთვის საშიში რეაქციები.

• იმუნური რეკონსტიტუციის სინდრომი

აივ-ინფიცირებულ პაციენტებში, რომლებსაც ანტირეტროვირუსული თერაპიის (ART) დაწყებისას აღენიშნებათ მძიმე იმუნური დეფიციტი, შეიძლება წარმოიშვას ანთებითი რეაქცია გამოწვეული ასიმპტომატური ან რეზიდუალური ოპორტუნისტული ინფექციების მიერ და განვითარდეს სერიოზული სახის კლინიკური მდგომარეობა ან სიმპტომების გამწვავება. როგორც წესი, ასეთი რეაქციები ვლინდება ანტირეტროვირუსული თერაპიის დაწყებიდან პირველი რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში. შესაბამისი მაგალითებია: ციტომეგალოვირუსული რეტინიტი, განზოგადებული და / ან კეროვანი მიკრობაქტერიული ინფექციები და პნევმოციტური (P.carinii) პნევმონია. ნებისმიერი ანთებითი სიმპტომი უნდა იქნას შეფასებული დაუყოვნებლივ და საჭიროების შემთხვევაში დაიწყოს მკურნალობა. იმუნური რეკონსტრუქციის დროს დაფიქსირდა ავტოიმუნური დარღვევები (როგორცაა ბაზედოვის დაავადება, პოლიმიოზიტი და Guillain-Barre -სინდრომი) თუმცა, დაწყების დრო უფრო ცვალებადია და ატიპიური გამოვლინებები შესაძლოა მოხდეს მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე თვეში.

პაციენტებში B და/ან C ჰეპატიტით თანხმლები ინფექციით, რომლებმაც დაიწყეს ტივიქით მკურნალობა, აღინიშნა ღვიძლის ფერმენტების დონის მომატება, რომელიც შეესაბამებოდა იმუნური აღდგენის სინდრომს. თანხმლები B და/ან C ჰეპატიტით ინფიცირებულ პაციენტებში რეკომენდირებულია ღვიძლის ფერმენტების დონის მონიტორინგი. დოლუტეგრავირით მკურნალობის დაწყებისას B ჰეპატიტის თანხმლები ინფექციის მქონე პაციენტებში საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე B ჰეპატიტის

საწინააღმდეგო ეფექტური მკურნალობის დაწყებისთვის ან გაგრძელებისთვის (სამკურნალო გაიდლაინების მიხედვით). (იხ. უკუ-რეაქციები).

- **ოპორტუნისტული ინფექციები**

პაციენტებში, რომლებიც იღებენ ტივიქის ან ნებისმიერ სხვა ანტირეტროვირუსული თერაპიას, შესაძლოა ოპორტუნისტული ინფექციების და აივ ინფექციის სხვა გართულებების განვითარება. ამიტომ, ამ ასოცირებული აივ დაავადებების მკურნალობისას პაციენტები უნდა იყვნენ მჭიდრო კლინიკური დაკვირვების ქვეშ ექიმების მხრიდან.

- **ინფექციის ტრანსმისია**

პაციენტებს უნდა გაეწიოთ რეკომენდაცია, რომ დადასტურებული არ არის მიმდინარე ანტირეტროვირუსული თერაპიის, მათ შორის ტივიქის, პრევენციული მოქმედება აივ ინფექციით სხვათა ინფიცირების რისკთან მიმართებაში სქესობრივი კონტაქტის ან სისხლის დაბინძურებისას. შესაბამისი უსაფრთხოების ზომების მიღება უნდა გაგრძელდეს.

- **ურთიერთქმედება წამლებთან**

სიფრთხილვა საჭირო სხვა მედიკამენტების მიღებისას (რეცეპტორული და არა-რეცეპტორული), რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ტივიქის მოქმედებაზე ან იმ მედიკამენტების მიღებისას, რომელთა მოქმედებაზეც შეიძლება გავლენა იქონიოს ტივიქიმ (იხილეთ უკუჩვენებები და ურთიერთქმედება). (იხ. უკუჩვენებები და ურთიერთქმედება).

ზრდასრულთა რეკომენდირებული ტივიქის დოზაა 50 მგ დღეში ორჯერ, როდესაც ის ინიშნება ეტრავირინთან (პროტეაზების ინჰიბიტორების გაზრდის გარეშე), ეფავრენცთან, ნევირაპინთან, ტიპრანავირთან/რიტონავირთან ან რიფამპიცინთან, კარბამაზეპინთან, ფენიტოინთან, ფენობარბიტალთან და კრაზანასთან კომბინაციაში (იხ. ურთიერთქმედება). პედიატრიულ პაციენტებში, წონაზე დამოკიდებული დღეში ერთჯერადი დოზა მიღებული უნდა იყოს დღეში ორჯერ.

ტივიქეი არ უნდა დაინიშნოს პოლივალენტური კათიონების შემცველ ანტაციდებთან კომბინაციაში. ტივიქის მიღება რეკომენდირებულია ამ მედიკამენტების მიღებამდე 2 საათით ადრე ან ამ მედიკამენტების მიღებიდან 6 საათის შემდეგ. (იხ. ურთიერთქმედება).

ტივიქეი რეკომენდირებულია დაინიშნოს კალციუმის ან რკინის დანამატების მიღებამდე 2 საათით ადრე ან მიღებიდან 6 საათის შემდეგ, ან მიღებულ იქნეს საკვებთან ერთად (იხ. ურთიერთქმედება).

ტივიქეი ზრდის მეტფორმინის კონცენტრაციას. საჭიროა მეტფორმინის დოზის რეგულირება დოლუტეგრავირის მეტფორმინთან კომბინაციაში დანიშვნისას ან შეწყვეტისას, რათა შენარჩუნდეს გლიკემიური კონტროლი (იხ. ურთიერთქმედება).

ურთიერთქმედება

დოლუტეგრავირის გავლენა სხვა აგენტების ფარმაკოკინეტიკაზე

In vitro, დოლუტეგრავირმა არ აჩვენა ფერმენტების ციტოქრომზე P₄₅₀ (CYP)1A2, CYP2A6, CYP2B6, CYP2C8, CYP2C9, CYP2C19, CYP2D6 CYP3A, ურიდინ დიფოსფატი გლუკორონოზილის ტრანსფერაზაზე (UGT) 1A1 ან UGT2B7, ან ტრანსპორტერებზე Pgp,

BCRP, BSEP, OATP1B1, OATP1B3, OCT1, MRP2 ან MRP4 პირდაპირი ან სუსტი ინჰიბიციის ($IC_{50} > 50 \mu M$).

In vitro, დოლუტეგრავირი არ აინჰიბირებს CYP1A2, CYP2B6 ან CYP3A4-ს. In vivo, დოლუტეგრავირს არ მოუხდენია გავლენა მიდაზოლამზე, CYP3A4 ნიმუში. მონაცემებზე დაყრდნობით, ტივიქემ არ უნდა იქონიოს ზეგავლენა იმ წამლების ფარმაკოკინეტიკაზე, რომლებიც ამ ფერმენტების ან ტრანსპორტერების სუბსტრატები არიან (მაგ., უკუ ტრანსკრიპტაზა და პროტეაზის ინჰიბიტორები, აბაკავირი, ზიდოვუდინი, მარავიროვი, ოპიოიდური ანალგეტიკები, ანტიდეპრესანტები, სტატინები, აზოლის ფუნგიციდები, პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორები, ანტიერექციული დისფუნქციის სამკურნალო საშუალებები, აციკლოვირი, ვალაცკლოვირი, სიტაგლიპტინი, ადეფოვირი).

მედიკამენტების ურთიერთქმედების კვლევებში, დოლუტეგრავირს არ გამოუმჟღავნებია კლინიკურად შესაბამისი გავლენა შემდეგი პრეპარატების ფარმაკოკინეტიკაზე: ტენოფოვირი, რიტონავირი, მეტადონი, ეფავირენზი, ლოპინავირი, ათაზანავირი, დარუნავირი, ეტრავირინი, პოზამპრენავირი, რილპივირინი, ბოცეპრევირი, ტელაპრევირი, დაკლათასვირი და ორალური კონტრაცეპტივები, რომლებიც შეიცავს ნორელგესტიმატს და ეთინილ-ესტრადიოლს.

In vitro, დოლუტეგრავირი აინჰიბირებს თირკმლის ორგანულ კათიონურ გადამზიდს 2 (OCT2) ($IC_{50} = 1.93 \mu M$), მულტი მედიკამენტური და ტოქსინის გამომდევნი ტრანსპორტერი (MATE) 1 ($IC_{50} = 6.34 M$) და MATE2-K ($IC_{50} = 24.8 M$). დოლუტეგრავირის in vivo ექსპოზიციის გათვალისწინებით, მას აქვს დაბალი პოტენციალი, რომ გავლენა მოახდინოს MATE2-K სუბსტრატების ტრანსპორტირებაზე in vivo. In vivo, დოლუტეგრავირმა შესაძლოა გაზარდოს იმ მედიკამენტების პლზამა კონცენტრაცია, სადაც გამოყოფა დამოკიდებულია OCT2 ან MATE1-ზე (დოფეტილიდი, პილსიკაინიდი ან მეტფორმინი) (იხ. ცხრილი 2).

In vitro, დოლუტეგრავირი აინჰიბირებს თირკმლის ბაზოლატერალურ გადამტანებს (ტრანსპორტერებს): ორგანული ანიონების გადამტანები (OAT) 1 ($IC_{50} = 2.12 M$) და OAT3 ($IC_{50} = 1.97 M$). თუმცა, დოლუტეგრავირს არ აქვს თვალშისაცემი გავლენა OAT სუბსტრატების, ტენოფოვირისა და პარა ამინოჰიურატის, in vivo ფარმაკოკინეტიკაზე, და შესაბამისად, აქვს უმნიშვნელო მიდრეკილება წამლების ურთიერთზემოქმედების პროვოცირებაზე OAT გადამტანების ინჰიბირების გზით.

სხვა მედიკამენტების გავლენა დოლუტეგრავირის ფარმაკოკინეტიკაზე

დოლუტეგრავირის ელიმინაცია ძირითადად UGT1A1-ის მეტაბოლიზმით ხდება. დოლუტეგრავირი ასევე წარმოადგენს UGT1A3, UGT1A9, CYP3A4, Pgp, და BCRP სუბსტრატს; შესაბამისად, წამლებს, რომლებიც აინჰიბირებენ ამ ფერმენტებსა თუ გადამტანებს, თეორიულად შეუძლიათ დოლუტეგრავირის პლზამური კონცენტრაციის შემცირება და შესაბამისად, ტივიქემის თერაპიული ეფექტის დაკნინება.

ტივიქემის მიღებას სხვა წამლებთან კომბინაციაში, რომლებიც აინჰიბირებენ UGT1A1, UGT1A3, UGT1A9, CYP3A4, და/ან Pgp, შეუძლია გაზარდოს დოლუტეგრავირის პლზამური კონცენტრაცია (იხ. ცხრილი 2).

In vitro, დოლუტეგრავირი არ არის ადამიანის ორგანული ანიონური გადამტანის პოლიპეპტიდის სუბსტრატი (OATP)1B1, OATP1B3, ან OCT1, ამიტომ წამლები, რომლებიც მხოლოდ ამ გადამტანის მოდულირებას ახდენენ, არ ახდენენ გავლენას დოლუტეგრავირის პლზამურ კონცენტრაციაზე.

ეფავირენზი, ეტრავირინი, ნევირაპინი, რიფამპიცინი, კარბამაზეპინი, და ტიპრანავირი რიტონავირთან კომბინაციაში მნიშვნელოვნად ამცირებს დოლუტეგრავირის პლაზმურ კონცენტრაციას, და საჭიროებს ტივიქეის დოზის რეგულირებას 50 მგ-ით დღეში ორჯერ. ეტრავირინის ეფექტი შემცირდა CYP3A4 ინჰიბიტორთან ლოპინავირი / რიტონავირი, დარუნავირის / რიტონავირის კომბინაციაში და მოსალოდნელია, რომ შემცირდება ატანანავირის/ რიტონავირის კომბინაციით. შესაბამისად, საჭირო არ არის დოლუტეგრავირის დოზის რეგულირება, როდესაც ის ინიშნება ეტრავირინთან და ლოპინავირ / რიტონავირ, დარუნავირ / რიტონავირ ან ატანანავირის/ რიტონავირის კომბინაციაში. კიდევ ერთმა ინჰიბიტორმა, ფოსამპრენავირმა რიტონავირთან კომბინაციაში შეამცირა დოლუტეგრავირის პლაზმური კონცენტრაცია, თუმცა საჭირო არ გამხდარა ტივიქეის დოზის რეგულირება (იხ. ცხრილი 2). მედიკამენტების ურთიერთქმედების კვლევაში UGT1A1 ინჰიბიტორთან, ატანანავირთან, არ გამოვლინდა კლინიკურად მნიშვნელოვანი ზრდა დოლუტეგრავირის პლაზმურ კონცენტრაციაში. ტენოფოვირი, ლოპინავირი / რიტონავირი, დარუნავირი / რიტონავირი, რილპივირინი, ბოცეპრევირი, ტელაპრევირი, პრედნიზონი, რიფაბუტინი, დაკლასასვირი და ომეპრაზოლი არ უჩვენებს ან ჩვენებს მინიმალურ გავლენას დოლუტეგრავირის ფარმაკოკინეტიკაზე, შესაბამისად საჭირო არ არის ტივიქეის დოზის რეგულირება ამ წამლებთან კომბინაციაში.

შერჩეული წამლების ურთიერთქმედება ნაჩვენებია ცხრილში 2. რეკომენდაციები ეფუძნება ან მედიკამენტების ურთიერთქმედების კვლევის შედეგებს ან პროგნოზირებად შედეგებს ურთიერთქმედების მოსალოდნელი სიდიდის და სერიოზული უკუჩვენებების ან ეფექტურობის დაკარგვის პოტენციალიდან გამომდინარე.

ცხრილი 2 მედიკამენტების ურთიერთქმედება

<p>თანმხლები მედიკამენტის კლასი: მედიკამენტის დასახელება</p>	<p>გავლენა დოლუტეგრავირის ან თანმხლები მედიკამენტის კონცენტრაციაზე</p>	<p>კლინიკური შენიშვნა</p>
<p>აივ-1 ანტივირუსული აგენტები</p>		
<p>არა- ნუკლეოზიდური უკუ-ტრანსკრიპტაზას ინჰიბიტორი: ეტრავირინი (ETR) გაზრდილი პროტეაზების ინჰიბიტორების</p>	<p>დოლუტეგრავირი AUC 71% C_{max} 52% C 88% ETR</p>	<p>ეტრავირინი პროტეაზების ინჰიბიტორების გარეშე ამცირებს დოლუტეგრავირის პლაზმურ კონცენტრაციას. ტივიქეის რეკომენდირებული დოზა ზრდასრულებში არის 50 მგ დღეში ორჯერ, როდესაც ის ინიშნება ეტრავირინთან ერთად</p>

<p>გარეშე</p>		<p>პროტეაზების ინჰიბიტორების გარეშე. პედიატრიულ პაციენტებში წონაზე დამოკიდებული დღეში ერთჯერადი დოზა უნდა დაინიშნოს დღეში ორჯერ. ტივიქეი არ უნდა იქნეს გამოყენებული ეტრავირინთან ერთად თუ ამავდროულად არ დაინიშნება დარუნავირ/რიტონავირი ან ლოპინავირ/რიტონავირი INI-რეზისტენტულ პაციენტებში</p>
<p>პროტეაზების ინჰიბიტორი: ლოპინავირ/რიტონავირი + ეტრავირინი</p>	<p>დოლუტეგრავირი AUC 11% C_{max} 7% C 28% LPV RTV</p>	<p>ლოპინავირ/რიტონავირი და ეტრავირინი არ ცვლის დოლუტეგრავირის პლაზმურ კონცენტრაციას კლინიკურად მნიშვნელოვან მაჩვენებლამდე საჭირო არ არის დოზის რეგულირება.</p>
<p>პროტეაზების ინჰიბიტორი: დარუნავირი/რიტონავირი + ეტრავირინი</p>	<p>დოლუტეგრავირი AUC 25% C_{max} 12% C 36% DRV RTV</p>	<p>დარუნავირი/რიტონავირი და ეტრავირინი არ ცვლის დოლუტეგრავირის პლაზმურ კონცენტრაციას კლინიკურად მნიშვნელოვან მაჩვენებლამდე საჭირო არ არის დოზის რეგულირება</p>
<p>არა-ნუკლეოზიდური უკუ-ტრანსკრიპტირებადი ინჰიბიტორი: ეფავირენცი (EFV)</p>	<p>დოლუტეგრავირი AUC 57% C_{max} 39% C 75% EFV</p>	<p>ეფავირენცი ამცირებს დოლუტეგრავირის პლაზმურ კონცენტრაციას. ტივიქეის რეკომენდირებული დოზა ზრდასრულებში არის 50 მგ დღეში ორჯერ, როდესაც ის ინიშნება ეფავირენცთან ერთად.</p>

		<p>პედიატრიულ პაციენტებში წონაზე დამოკიდებული დღეში ერთჯერადი დოზა უნდა დაინიშნოს დღეში ორჯერ. შესაძლებლობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ალტერნატიული კომბინაცია ეფავირენცის გარეშე INI-რეზისტენტულ პაციენტებში.</p>
<p>არა- ნუკლეოზიდური უკუ-ტრანსკრიპტირებადი ინჰიბიტორი: ნევირაპინი</p>	<p>დოლუტეგრავირი</p>	<p>ნეპრავერინთან კომბინაციაში არსებობს დოლუტეგრავირის პლაზმური კონცენტრაციის შემცირების პოტენციალი ფერმენტების ინჰიბიტორებიდან გამომდინარე და ის არ არის შესწავლილი. ნეპრავირინის გავლენა დოლუტეგრავირი სექსპოზიციაზე მეტ-ნაკლებად ისეთივეა როგორც ეფავირენცის შემთხვევაში. ტივიქეის რეკომენდირებული დოზა ზრდასრულებში არის 50 მგ დღეში ორჯერ, როდესაც ის ინიშნება ნევირაპინთან ერთად. პედიატრიულ პაციენტებში წონაზე დამოკიდებული დღეში ერთჯერადი დოზა უნდა დაინიშნოს დღეში ორჯერ. შესაძლებლობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ალტერნატიული კომბინაცია ნევირაპინის გარეშე INI-რეზისტენტულ პაციენტებში.</p>
<p>პროტეაზების ინჰიბიტორი: (PI):</p>	<p>დოლუტეგრავირი AUC 91%</p>	<p>ატანაზავირი ზრდის დოლუტეგრავირის პლაზმურ</p>

<p>ატანანავირი (ATV)</p>	<p>C_{max} 50% C 180% ATV</p>	<p>კონცენტრაციას და საჭირო არ არის დოზის რეგულირება.</p>
<p>პროტეაზების ინჰიბიტორი: ატანანავირი/ რიტონავირი (ATV/RTV)</p>	<p>დოლუტეგრავირი AUC 62% C_{max} 34% C 121% ATV RTV</p>	<p>ატანანავირი/რიტონავირი ზრდის დოლუტეგრავირის პლაზმურ კონცენტრაციას. დოზის რეგულაცია საჭირო არ არის.</p>
<p>პროტეაზების ინჰიბიტორი: ტიპრანავირი/რიტონავირი (TPV/RTV)</p>	<p>დოლუტეგრავირი AUC 59% C_{max} 47% C 76% TPV RTV</p>	<p>ტიპრანავირი/რიტონავირი ამცირებს დოლუტეგრავირის კონცენტრაციას. ტივიქის რეკომენდირებული დოზა ზრდასრულებში არის 50 მგ დღეში ორჯერ, როდესაც ის ინიშნება ტიპრანავირთან/რიტონავირთან ერთად. პედიატრიულ პაციენტებში წონაზე დამოკიდებული დღეში ერთჯერადი დოზა უნდა დაინიშნოს დღეში ორჯერ. შესაძლებლობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ალტერნატიული კომბინაცია ტიპრანავირის/რიტონავირის გარეშე INI-რეზისტენტულ პაციენტებში.</p>

<p>პროტეაზების ინჰიბიტორი: ფოსამპრენავირი/რიტონავირი (FPV/RTV)</p>	<p>დოლუტეგრავირი AUC 35% C_{max} 24% C 49% FPV RTV</p>	<p>ფოსამპრენავირი/რიტონავირი ამცირებს დოლუტეგრავირის კონცენტრაციას, მაგრამ შეზღუდული მონაცემების გამო, არ მოჰყოლია ეფექტურობის შემცირება III ფაზის კვლევებში. საჭირო არ არის დოზის რეგულირება INI-თავისუფალ პაციენტებში. შესაძლებლობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ალტერნატიული კომბინაცია ფოსამპრენავირი/რიტონავირის გარეშე INI-რეზისტენტულ პაციენტებში.</p>
<p>პროტეაზების ინჰიბიტორი: ნელფინავირი</p>	<p>დოლუტეგრავირი</p>	<p>ეს ურთიერთქმედება არ არის შესწავლილი. თუმცა, CYP3A4 ინჰიბიტორისგან, სხვა ინჰიბიტორების შესახებ მონაცემების მიხედვით, მოსალოდნელი არ არის ზრდა. საჭირო არ არის დოზის რეგულირება.</p>
<p>პროტეაზების ინჰიბიტორი: ლოპინავირი/რიტონავირი (LPV+RTV)</p>	<p>DTG AUC 4% C_{max} C 6% LPV RTV</p>	<p>ლოპინავირი/რიტონავირი არ ცვლის დოლუტეგრავირის პლაზმურ კონცენტრაციას კლინიკურად მნიშვნელოვან მაჩვენებლამდე. საჭირო არ არის დოზის რეგულირება.</p>
<p>პროტეაზების ინჰიბიტორი: დარუნავირი/რიტონავირი</p>	<p>დოლუტეგრავირი AUC 22% C_{max} 11% C 38%</p>	<p>დარუნავირი/რიტონავირი არ ცვლის დოლუტეგრავირის პლაზმურ კონცენტრაციას კლინიკურად მნიშვნელოვან მაჩვენებლამდე. საჭირო არ არის დოზის რეგულირება.</p>

<p>ნუკლეოზიდური უკუ-ტრანსკრიპტირებადი ინჰიბიტორი: ტენოფოვირი</p>	<p>დოლუტეგრავირი</p>	<p>ტენოფოვირი არ ცვლის დოლუტეგრავირის პლაზმურ კონცენტრაციას კლინიკურად მნიშვნელოვან მაჩვენებლამდე. საჭირო არ არის დოზის რეგულირება.</p>
<p>სხვა აგენტები</p>		
<p>დოფეტილიდი ფილსიკაინიდი</p>	<p>დოფეტილიდი ფილსიკაინიდი</p>	<p>დოლუტეგრავირის თანა-მიღებისას არის დოფეტიდილის ან ფილსიკაინიდის პლაზმური კონცენტრაციის ზრდის პოტენციალი OCT2 გადამტანის ინჰიბირების გზით; თანა-მიღება შესწავლილი არ არის.</p> <p>დოფეტიდილის ან ფილსიკაინიდის თანა-მიღება დოლუტეგრავირთან უკუნაჩვენებია სიცოცხლისთვის საშიში ტოქსიკურობიდან გამომდინარე დოფეტილიდის ან ფილსიკაინიდის მაღალი კონცენტრაციის გამო.</p>
<p>კარბამაზეპინი</p>	<p>დოლუტეგრავირი AUC 49% C_{max} 33% C 73%</p>	<p>კარბამაზეპინი ამცირებს დოლუტეგრავირის პლაზმურ კონცენტრაციას. ტივიქის რეკომენდირებული დოზა ზრდასრულებში არის 50 მგ დღეში ორჯერ, როდესაც ის ინიშნება კარბამაზეპინთან ერთად.</p> <p>პედიატრიულ პაციენტებში წონაზე დამოკიდებული დღეში ერთჯერადი დოზა უნდა დაინიშნოს დღეში ორჯერ. კარბამაზეპინის ალტერნატივა უნდა იქნეს გამოყენებული INI-</p>

		რეზისტენტულ პაციენტებში.
ფენიტონი ფენობარბიტალი კრაზანა	დოლუტეგრავირი	თანა-მიღებას ამ მეტაბოლურ ინჰიბიტორებთან აქვს დოლუტეგრავირის პლაზმური კონცენტრაციის შემცირების პოტენციალი და ის არ არის შესწავლილი. ამ მეტაბოლური ინჰიბიტორების გავლენა დოლუტეგრავირის ექსპოზიციაზე სავარაუდოდ კარბამაზეპინის მსგავსია. ტივიქის რეკომენდირებული დოზა ზრდასრულებში არის 50 მგ დღეში ორჯერ, როდესაც ის ინიშნება ამ მეტაბოლურ ინჰიბიტორებთან ერთად. პედიატრიულ პაციენტებში წონაზე დამოკიდებული დღეში ერთჯერადი დოზა უნდა დაინიშნოს დღეში ორჯერ. შესაძლებლობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ალტერნატიული კომბინაცია მეტაბოლური ინჰიბიტორების გარეშე INI-რეზისტენტულ პაციენტებში.
ოქსკარბაზეპინი	დოლუტეგრავირი↓	ეს ურთიერთქმედება შესწავლილი არ არის. თუმცა, CYP3A4-ის ინჰიბიტორისგან, სხვა ინჰიბიტორების მონაცემებზე დაყრდნობით, მოსალოდნელი არ არის კლინიკურად მნიშვნელოვანი

		მაჩვენებლით დოლუტეგრავირის შემცირება. საჭირო არ არის დოზის რეგულირება.
ანტიციდები, რომლებიც პოლივალენტურ კათიონებს შეიცავს (მაგ., Mg, Al)	დოლუტეგრავირი AUC 74% C _{max} 72% C24 74%	ანტაციდების თანა-მიღება, რომლებიც შეიცავს პოლივალენტურ კათიონებს, ამცირებს დოლუტეგრავირის პლაზმურ კონცენტრაციას.
		რეკომენდირებულია ტივიქეის მიღება პოლივალენტური კათიონების შემცველი ანტიციდების პროდუქციის მიღებამდე 2 საათით ადრე ან მიღებიდან 6 საათის შემდეგ.
კალციუმის დანამატები	დოლუტეგრავირი AUC 39% C _{max} 37% C24 39%	რეკომენდირებულია ტივიქეის მიღება კალციუმის შემცველი პროდუქციის მიღებამდე 2 საათით ადრე ან 6 საათის შემდეგ. თუ მიიღება საკვებთნ ერთად, მაშინ შესაძლებელია ტივიქეის მიღება კალციუმის დანამატებთან თანადროულად.
რკინის დანამატები	დოლუტეგრავირი AUC 54% C _{max} 57% C24 56%	რეკომენდირებულია ტივიქეის მიღება რკინის შემცველი პროდუქციის მიღებამდე 2 საათით ადრე ან 6 საათის შემდეგ. თუ მიიღება საკვებთნ ერთად, მაშინ შესაძლებელია ტივიქეის მიღება რკინის დანამატებთან თანადროულად.

მეტფორმინი	<p>მეტფორმინი როდესაც მიიღება 50 მგ დოლუტეგრაჰირთან ერთად QD:</p> <p>მეტფორმინი AUC 79% C_{max} 66% როდესაც მიიღება 50 მგ დოლუტეგრაჰირთან ერთად BID: მეტფორმინი AUC 145 % C_{max} 111%</p>	<p>ტივიქის თანა-მიღება ზრდის მეტფორმინის პლაზმურ კონცენტრაციას. შესაძლოა განხილული იყოს მეტფორმინის დოზის რეგულირება, როდესაც იწყება ან მთავრდება დოლუტეგრაჰირის თანა-მიღება მეტფორმინთან ერთად, რათა შენარჩუნდეს გლიკემიური კონტროლი.</p>
რიფამპიცინი	<p>დოლუტეგრაჰირი AUC 54% C_{max} 43% C 72%</p>	<p>რიფამპიცინმა შეამცირა დოლუტეგრაჰირის პლაზმური კონცენტრაცია. რიფამპიცინთან თანა-მიღებისას ტივიქის რეკომენდირებული ზრდასრულთა დოზა არის 50 მგ დღეში ორჯერ. პედიატრიულ პაციენტებში წონაზე დამოკიდებული დღეში ერთჯერადი დოზა უნდა დაინიშნოს დღეში ორჯერ. შესაძლებლობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს რიფამპიცინის ალტერნატივა INI-რეზისტენტულ პაციენტებში.</p>
<p>ორალური კონტრაცეფცია (ეთინილ ესტრადიოლი</p>	<p>დოლუტეგრაჰირის ეფექტი: EE AUC 3%</p>	<p>დოლუტეგრაჰირი არ ცვლის ეთინილ ესტრადიოლის და ნორელგესტრომინის პლაზმურ</p>

<p>(EE) და ნორელგესტრომინი (NGMN))</p>	<p>C_{max} 1% C 2%</p> <p>დოლუტეგრავირის ეფექტი: NGMN AUC 2% C_{max} 11% C 7%</p>	<p>კონცენტრაციას კლინიკურად მნიშვნელოვან მაჩვენებლამდე. საჭირო არ არის დოზის რეგულირება ორალური კონტრაცეპტივების მიღებისას, როდესაც მათი მიღება ხდება ტივიქეისთან ერთად.</p>
<p>მეტადონი</p>	<p>დოლუტეგრავირის ეფექტი: მეტადონი AUC 2% C_{max} 0% C 1%</p>	<p>დოლუტეგრავირი არ ცვლის მეტადონის პლაზმურ კონცენტრაციას კლინიკურად მნიშვნელოვან მაჩვენებლამდე. საჭირო არ არის დოზის რეგულირება მეტადონის მიღებისას, როდესაც მათი მიღება ხდება ტივიქეისთან ერთად.</p>
<p>დაკლათასვირი</p>	<p>დოლუტეგრავირი AUC 33% C_{max} 29% C 45%</p> <p>დაკლათასვირი</p>	<p>დაკლათასვირი არ ცვლის დოლუტეგრავირის პლაზმურ კონცენტრაციას კლინიკურად მნიშვნელოვან მაჩვენებლამდე. დოლუტეგრავირი არ ცვლის დაკლათასვირის პლაზმურ კონცენტრაციას. დოზის რეგულირება საჭირო არ არის.</p>

აბრივიატურები: ↑= ზრდა; ↓= კლება; ↔= არ არის მნიშვნელოვანი ცვლილება;

AUC=ფართობი კონცენტრაციის ფარგლებში დროის მრუდის საპირისპიროდ;

C_{max} =მაქსიმალური კონცენტრაცია, C =კონცენტრაცია დოზირების ინტერვალის

დასასრულს

ფეხმძიმობა და ლაქტაცია

ფერტილობა

არ არსებობს მონაცემები ტივიქეის მოქმედებაზე ქალებისა და მამაკაცების

ფერტილობაზე. ცხოველებზე ჩატარებული კვლევები არ უჩვენებს

დოლუტეგრავირის გავლენას მამრობით და მდედრობითი სქესის ფერტილობაზე.

(იხ. პრე-კლინიკური უსაფრთხოების მონაცემები).

ფეხმძიმობა

არ არსებობს ადექვატური და კარგად კონტროლირებული კვლევები ფეხმძიმე ქალებში ტივიქის გამოყენებასთან დაკავშირებით. უცნობია ტივიქის ეფექტი ფეხმძიმე ადამიანებში. ცხოველებში ჩატარებული რეპროდუქციული ტოქსიკურობის კვლევებში აღმოჩნდა, რომ დოლუტეგრავირი კვეთს პლაცენტას. ტივიქი ფეხმძიმობისას გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელი სარგებელი ამართლებს ნაყოფზე პოტენციურ რისკს. (იხ. პრე-კლინიკური უსაფრთხოების მონაცემები).

ლაქტაცია

ჯანდაცვის ექსპერტები რეკომენდაციას უწევენ აივ ინფიცირებულ ქალბატონებს, რომ შესაძლებლობიდან გამომდინარე ახალშობილი არ კვებონ ძუძუთი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ახალშობილის აივ ინფიცირება. იმ გარემოებებისას, როდესაც კვების ფორმულა არ არის დასაშვები, ძუძუთი კვებისას საჭიროა დაცული იქნეს ადგილობრივი ოფიციალური ლაქტაციისა და მკურნალობის სახელმძღვანელო პრინციპები ანტირეტროვირუსული თერაპიის დროს.

ცხოველებზე არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ დოლუტეგრავირი გადადის ადამიანის რძეში, თუმცა ეს უკანასკნელი არ დადასტურდა ადამიანებში.

გავლენა ავტომობილის მართვის და მექანიზმებთან მუშაობის უნარზე

არ ჩატარებულა კვლევები იმის გასარკვევად ახდენს თუ არა ტივიქი გავლენას ავტომობილის მართვის და მექანიზმებთან მუშაობის უნარზე. გათვალისწინებული უნდა იყოს პაციენტის კლინიკური სტატუსი და ტივიქის უკუჩვენებების პროფილი, როდესაც განიხილება პაციენტის უნარი ავტომობილის მართვასა და მექანიზმებთან მუშაობაზე.

გვერდითი რეაქციები

კლინიკური კვლევის მონაცემები

მედიკამენტების გვერდითი რეაქციები (ADRs), რომლებიც გამოვლინდა განზოგადებული მონაცემების ანალიზის შედეგად ფაზა IIb და ფაზა III კლინიკური კვლევებიდან ჩამოთვლილია ქვემოთ MedDRA სისტემის ორგანული კლასის და სიხშირის მიხედვით. სიხშირე განსაზღვრულია, როგორც: ძალიან ხშირი ($\geq 1/10$), ხშირი ($\geq 1/100$ და $< 1/10$), არახშირი ($\geq 1/1,000$ და $< 1/100$), იშვიათი ($\geq 1/10,000$ და $< 1/1,000$) და ძალიან იშვიათი ($< 1/10,000$), მათ შორის ერთეული შემთხვევები.

ცხრილი 3 უკუ რეაქციები

იმუნური სისტემის დარღვევები	არახშირი	მომატებული მგრძნობელობა (იხილეთ გაფრთხილებები და სიფრთხილის ზომები)
	არახშირი	იმუნური რეკონსტიტუციის სინდრომი (იხილეთ გაფრთხილებები და სიფრთხილის ზომები)
ფსიქიატრიული დარღვევები	ხშირი	უძილობა
	ხშირი	არანორმალური სიზმრები

	ხშირი	დეპრესია
	არახშირი	სუიციდური იდეა ან თვითმკვლელობის მცდელობა (განსაკუთრებით იმ პაციენტებში, რომლებსაც ადრე არსებული ისტორია აქვთ დეპრესიაზე ან ფსიქიატრიულ ავადმყოფობაზე)
ნერვული სისტემის დარღვევები	ძალიან ხშირი	თავის ტკივილი
	ხშირი	თავბრუსხვევა
კუჭ-ნაწლავის დარღვევები	ძალიან ხშირი	გულისრევა
	ძალიან ხშირი	დიარეა
	ხშირი	ღებინება
	ხშირი	მეტეორიზმი
	ხშირი	ზედა მუცლის ტკივილი
	ხშირი	მუცლის ტკივილი
	ხშირი	მუცლის დისკომფორტი
ჰეპატობილიარული დარღვევები	არახშირი	ჰეპატიტი
კანისა და კანქვეშა ქსოვილების დარღვევები	ხშირი	გამონაყარი
	ხშირი	ქავილი
ზოგადი დარღვევები და მიღების ადგილის მდგომარეობა	ხშირი	დაღლილობა

უსაფრთხოების პროფილი მსგავსია წინარე მკურნალობის არქმონე, წინარე მკურნალობის მქონე (და ინტეგრაციის გამოცდილების არქმონე) და ინტეგრაციის რეჟიმის ტენტული პაციენტების პოპულაციებში.

ცვლილებები ლაბორატორიულ ქიმიაში

შრატის კრეატინინის ზრდა დაფიქსირდა ტივიქით მკურნალობის დაწყებიდან პირველ კვირაში და მაჩვენებელი სტაბილურად შენარჩუნდა 48 კვირის განმავლობაში. მანამდე არანამკურნალევი პაციენტების საშუალო ცვლილება საბაზისო ნიშნულიდან 9.96 მოლ/ლ (ზღვარი: -53 მოლ/ლ-დან 54.8 მოლ/ლ-მდე) დაფიქსირდა მკურნალობის დაწყებიდან 48 კვირაში. კრეატინინის ზრდა შედარებით იყო ფონური NRTI-ებით, და იყო ნამკურნალევი პაციენტების მონაცემების მსგავსი. ეს ცვლილებები არ არის კლინიკურად რელევანტური, რადგან ისინი არ ასახავს ცვლილებას გორგლისებური ფილტრაციის დონეში (იხ. ფარმაკოდინამიკა – გავლენა თირკმლის ფუნქციებზე).

ბილირუბინის ზრდა მცირე რაოდენობით (კლინიკური სიყვითლის გარეშე) დაფიქსირდა დოლუტეგრავირის და რალტეგრავირის (მაგრამ არა ეფავირენზე) ჯგუფზე პროგრამაში. ეს ცვლილებები არ ითვლება კლინიკურად რელევანტურად, რადგან ის ასახავს კონკურენციას დოლუტეგრავირსა და უცვლელ ბილირუბინს შორის საერთო კლირენსის გზაზე (UGT1A1) (იხ. ფარმაკოკინეტიკა – მეტაბოლიზმი).

ასევე ცნობილია, რომ ასიმპტომური კრეატინინის ფოსფოკინაზას (CPK) დონის მომატება უმეტესად ფიზიკურ დატვირთვასთან კავშირში დაფიქსირდა დელუტეგრავირის თერაპიის დროს.

პედიატრიული პოპულაცია

ბავშვებთან და მოზარდებთან (6 წლიდან 18 წლამდე ასაკის ბავშვებში) დაკავშირებით შეზღუდული ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე არ დაფიქსირდა დამატებითი უარყოფითი რეაქციები გარდა იმ რეაქციებისა, რომლებიც დაფიქსირდა ზრდასრულ მოსახლეობაში.

თანა-ინფიცირება ჰეპატიტი B ან C-ით

III ფაზის კვლევებში, თანა-ინფიცირებულ პაციენტებს ჰეპატიტი B და/ან C-თი ნება მიეცათ ჩართულიყვნენ კვლევაში იმ პირობით, თუ საბაზისო ღვიძლის ქიმის ანალიზები 5-ჯერ მეტად არ აღემატებოდა ნორმალური მაჩვენებლის ზედა ლიმიტს (ULN). საერთო ჯამში, ჰეპატიტი B და/ან C-თი თანა-ინფიცირებული პაციენტების უსაფრთხოების პროფილი მსგავსია იმ პაციენტების უსაფრთხოების პროფილისა, რომლებიც არ იყვნენ ინფიცირებულნი B ან C ჰეპატიტით, თუმცა, AST- ის და ALT პათოლოგიების მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო ჰეპატიტი B და ან C- თი ინფიცირებულთა ქვეჯგუფში. ტივიქის თერაპიის დაწყებისას ზოგიერთ სუბიექტში თანა-ინფიცირებული B და/ან C ჰეპატიტით, დაფიქსირდა ღვიძლის ქიმის ზრდა იმუნური რეკონსტიტუციის სინდრომის შესაბამისად, განსაკუთრებით იმ პაციენტებში, რომლებმაც შეწყვიტეს ანტი-B ჰეპატიტური მკურნალობა (იხ. გაფრთხილებები და სიფრთხილის ზომები).

პოსტ-მარკეტინგული მონაცემები

მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

ჭარბი დოზირება

სიმპტომები და ნიშნები

ამჟამად შეზღუდულია ინფორმაცია ტივიქის ჭარბ დოზირებასთან დაკავშირებით.

ერთეული ჭარბი დოზირების (250 მგ-მდე ჯანმრთელ სუბიექტებში) შესახებ შეზღუდული ინფორმაციის თანახმად, არ გამოვლინდა სხვა სპეციფიური სიმპტომები ან ნიშნები გარდა იმისა, რაც მითითებულია გვერდითი რეაქციების ჩამონათვალში.

მკურნალობა

დამატებითი მართვა მითითებული უნდა იყოს კლინიკურად ან ეროვნული შხამის ცენტრის მიერ, ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე.

არ არსებობს სპეციფიკური მკურნალობა ტივიქეის ჭარბი დოზირების შემთხვევაში. თუ დადგა ჭარბი დოზირება, პაციენტს უნდა გაეწიოს შესაბამისი მონიტორინგი საჭიროების შესაბამისად. რადგან დოლუტეგრავირის ბმა პლაზმურ ცილებთან მაღალია, სავარაუდოდ ის მნიშვნელოვნად არ მოიხსნება დიალიზის გზით.

ფარმაკოლოგიური მახასიათებლები

ფარმაკოდინამიკა

მოქმედების მექანიზმი

ტივიქეი აინჰიბირებს აივ ინტეგრეიზს ინტეგრეიზის აქტიურ უბანთან ბმით და რეტროვირუსული დეოქსირიბონუკლეინის მუჯავის (დნმ) ინტეგრაციის გადატანის ეტაპის ბლოკირებით, რაც მნიშვნელოვანია აივ რეპლიკაციის ციკლისათვის. ბიოქიმიური ანალიზის ჯაჭვის გადატანა სუფთა აივ 1 ინტეგრეიზის და წინასწარ დამუშავებული დნმ-ის სუბსტრატის გამოყენებით დასრულდა 2.7 ნმ და 12.6 ნმ-ს IC50 სიდიდით. In vitro, დოლუტეგრავირი ნელა იშლება ველური ტიპის ინტეგრეიზის-დნმ კომპლექსის აქტიური უბნიდან (t ½ 71 საათი).

ფარმაკოდინამიკური ეფექტი

რანდომიზირებულ, დოზა-განსაზღვრულ ცდაში, აივ 1-ინფიცირებული სუბიექტები, რომლებიც გადიოდნენ ტივიქეის მონოთერაპიას, უჩვენებდნენ სწრაფ და დოზაზე-დამოკიდებულ ანტივირუსულ აქტივობას, საშუალო ვარდნით საბაზისო ნიშნულიდან მე-11 დღიდან აივ-1-ში რნმ 1.5, 2.0, და 2.5 ჩანაწერში 10 დოლუტეგრავირისთვის 2 მგ, 10 მგ, და 50 მგ დღეში ერთხელ, შესაბამისად. ეს ანტივირუსული რეაქცია შენარჩუნდა 3-4 დღის განმავლობაში უკანასკნელი დოზის მიღებიდან 50 მგ დოზის ჯგუფის სუბიექტებში.

ანტივირუსული აქტიურობა უჯრედის კულტურაში

პერიფერიული სისხლის მონონუკლეურმა უჯრედებმა (PBMC), რომლებიც დაინფიცირდა აივ-1 შტამით BaL ან აივ-1 შტამით NL432 მოგვცა 0.51 ნმ-ის და 0.53 ნმ-ის, შესაბამისად. DTG IC50ები. MT-4 უჯრედები, რომლებიც ინფიცირებული იყო აივ-1 შტამით IIIB და ინკუბირდება დოლუტეგრავირით 4 ან 5 დღის განმავლობაში, დასრულდა 0.71 და 2.1 ნმ-ის IC50-ებით.

ვირუსული ინტეგრეიზის მგრძნობელობის ანალიზში, რომელიც იყენებდა ინტეგრეიზის კოდირების რეგიონს 13 კლინიკურად მრავალფეროვანი ფილოგენური შტოს B იზოლატებისგან, დოლუტეგრავირმა გამოამჟღავნა ანტივირუსული პოტენციალი, რომელიც ლაბორატორიული შტამების მსგავსია საშუალოდ 0.52 ნმ-სის IC50-ით. PBMC- ის ანალიზებით შესწავლილი პანელისაგან, რომელიც შედგებოდა 24 აივ -1 კლინიკური იზოლატებისგან [ჯგუფი M (შტო A, B, C, D, E, F და G) და ჯგუფი O] და 3 HIV-2 კლინიკური იზოლატები, საშუალო გეომეტრიული IC50 იყო 0.20 ნმ და IC50 მაჩვენებლები, რომლებიც მერყეობდა 0.02-დან 2.14 ნმ-მდე HIV-1- ის შემთხვევაში, ხოლო საშუალო გეომეტრიული

IC50 იყო 0.18 ნმ და IC50 მაჩვენებლები მერყეობდა 0.09-დან 0.61 ნმ-მდე აივ-2 იზოლატებისთვის.

ანტივირუსული აქტივობა სხვა ანტივირუსულ აგენტებთან კომბინაციაში

არცერთი მედიკამენტი დამახასიათებელი ანტი-აივ აქტივობით არ არის ანტაგონისტური დოლუტეგრავირის მიმართ (in vitro შეფასება ჩატარდა ჭადრაკის დაფის ფორმატში სტავუდინთან, აბაკავირთან, ეფავირენცთან, ნევირაპინთან, ლოპინავირთან, ამპრენავირთან, ენფუვირტიდთან, მარავიროკთან, ადეფოვირთან და რალტერგავირთან კომბინაციაში). ამასთან, ანტივირუსულებს დამახასიათებელი ანტი-აივ აქტივობის გარეშე (რიბავირინი) არ ჰქნოდა გამოკვეთილი გავლენა დოლუტეგრავირის აქტივობაზე.

გავლენა ადამიანის შრატსა და შრატის პროტეინებზე

In vitro კვლევებმა უჩვენა 75-ჯერადი ცვლა დოლუტეგრავირის IC50-ში 100% ადამიანის შრატის არსებობის პირობებში (ექსტრაპოლაციის მეთოდით), და პროტეინ-რეგულირებული IC90 (PA-IC90) PBMC-ებში შეფასდა 64 ნგ/მლ-ით. დოლუტეგრავირის მინიმალური კონცენტრაცია ერთეული 50 მგ დოზისთვის ინტეგრეიზის ინჰიბიტორში არანამკურნალევ პაციენტებში იყო 1.20 გ/მლ და შესაბამისად, 19-ჯერ მაღალი იყო ვიდრე სავარაუდო PA-IC90.

რეზისტენტობა in vitro

იზოლირება ველური ტიპის აივ-1-დან: დოლუტეგრავირისადმი მაღალი რეზისტენტობის ვირუსები არ დაფიქსირდა შტამი IIIB-ის 112 დღიან პერიოდში, 4.1-ჯერადი მაქსიმალური ჯერადი ცვლით (FC), რაც დაფიქსირდა ცვლილებებისადმი პასიური რეზისტენტულობის ვირუსის პოპულაციისთვის დაცულ IN პოზიციებზე S153Y და S153F. ველური ტიპის აივ-1-ის შტამის NL432 გადატანა დოლუტეგრავირის არსებობისას შეირჩა E92Q-სთვის (ვირუსის პოპულაციის გადატანა FC=3.1) და G193E-სთვის (ვირუსის პოპულაციის გადატანა FC=3.2) ცვლილებები 56 დღეზე. ველური ტიპის ქვეტიპის B, C და A/G ვირუსების დამატებითი გადატანა DTG-ის არსებობისას შეირჩა R263K, G118R, და S153T-სთვის.

ანტი-აივ აქტივობა რეზისტენტული შტამების წინააღმდეგ: უკუ-ტრანსკრიპტაზა ინჰიბიტორი და პროტეაზული ინჰიბიტორი- რეზისტენტული შტამები: დოლუტეგრავირმა უჩვენა ექვივალენტური პოტენციალი 2 არა-ნუკლეოზიდური (NN)-RTI-რესისტენტის, 3 ნუკლეოზიდური (N)-RTI-რესისტენტის, და 2 PI-რესისტენტ HIV-1 მუტანტი კლონის წინააღმდეგ (1 სამმაგი და 1 ექვსმაგი) ველური ტიპის შტამებთან შედარებით.

ინტეგრეიზ ინჰიბიტორი- რეზისტენტული აივ-1 შტამები: სამოცი ინტეგრეიზ ინჰიბიტორი-რეზისტენტული მუტანტი აივ-1 ვირუსები (28 ერთეული შემცვლელით და 32 2 ან მეტი შემცვლელით) წარმოიქმნა ველური ტიპის ვირუსისგან NL-432 უბანზე ორიენტირებული მუტაგენეზის გამოყენებით. დოლუტეგრავირმა უჩვენა ანტი-აივ აქტივობა (მგრძნობელობა) FC <5-თან 28-დან 27 ინტეგრეიზ ინჰიბიტორ-რეზისტენტის მუტანტი ვირუსის წინააღმდეგ ერთეული შემცვლელით, მათ შორის T66A/I/K, E92Q/V, Y143C/H/R Q148H/K/R, და N155H, მაშინ როცა რალტეგრავირისა და ელვიტეგრავირისთვის იყო 17/28 და 11/21 გამოცდილი მუტანტი ვირუსი FC <5-ით, შესაბამისად. ამასთან, 32 ინტეგრეიზ ინჰიბიტორ-რეზისტენტული მუტანტი ვირუსიდან 2 ან მეტი შემცვლელით, 32-დან 23 უჩვენა FC <5 დოლუტეგრავირისთვის 32-დან 4 FC <5-ზე რალტეგრავირთან შედარებით და FC <5 25-დან 2 გამოკვლეულ ელვიტეგრავირზე.

ინტეგრეიზ ინჰიბიტორი- რეზისტენტული აივ -2 შტამები: უბანზე ორიენტირებული მუტანტი აივ-2 ვირუსი შეიქმნა აივ-ინფიცირებულ სუბიექტებზე დაყრდნობით და

მკურნალობდნენ რალტეგრავირით, რომელმაც აჩვენა ვირუსული უკმარისობა. საერთო ჯამში, დაფიქსირებული აივ-2-ის FCs მსგავსია აივ -1-ის FCs-ის მუტაციის გზისა. დოლუტეგრავირის FC იყო <5 4 HIV-2 ვირუსის წინააღმდეგ (S163D, G140A/Q148R, A153G/N155H/S163G და E92Q/T97A/N155H/S163D); E92Q/N155H-ისთვის, დოლუტეგრავირი FC იყო 8.5, და G140S/Q148R-ისთვის დოლუტეგრავირი FC იყო 17. დოლუტეგრავირს, რალტეგრავირსა და ელვიტეგრავირს, ყველას ჰქონდა ერთნაირი აქტივობა უბანზე ორიენტირებული მუტანტი აივ-2-ის წინააღმდეგ S163D-ით, როგორც ველური ტიპის და დანარჩენი მუტანტი აივ-2 ვირუსისთვის რალტეგრავირი FC მერყეობს 6.4-დან 420-მდე და ელვიტეგრავირის FC მერყეობს 22-დან 640-მდე.

რალტეგრავირის მკურნალობის ვირუსული უკმარისობის სუბიექტების კლინიკური იზოლატები: ოცდაათი კლინიკური იზოლირებული შემთხვევა გენოტიპური და ფენოტიპური რესისტენტულობით რალტეგრავირისადმი (საშუალო FC >81) გადაისინჯა დოლუტეგრავირისადმი მგრძობელობაზე (საშუალო FC 1.5) Monogram Biosciences PhenoSense ანალიზის გამოყენებით. დოლუტეგრავირის საშუალო FC იზოლატებისთვის, რომლებიც შეიცავს ცვლილებებს G140S + Q148H-ზე იყო 3.75; G140S + Q148R იყო 13.3; T97A + Y143R იყო 1.05 და N155H იყო 1.37.

რალტეგრავირის შვიდას ხუთი რეზისტენტული იზოლატი რალტეგრავირის მკურნალობაში გამოცდილი პაციენტებისგან გადაისინჯა დოლუტეგრავირისადმი მგრძობელობაზე Monogram Biosciences PhenoSense ანალიზის გამოყენებით. დოლუტეგრავირმა 10 FC-ზე ნაკლები ან მისი ტოლი ცვლილება განიცადა 10 ჯერადზე მეტით 705 კლინიკური იზოლატის 93.9% -ზე, 184 იზოლატიდან 16 (9%) Q148 +1 INSTI-რეზისტენტული შემცვლელით და 92 კლინიკური იზოლატებიდან 25 (27%) Q148 + 2 INSTI--რეზისტენტული შემცვლელით.

რეზისტენტულობა in vivo: ინტეგრეიზის ინჰიბიტორი არანამკურნალევი პაციენტებში

INI- რეზისტენტული მუტაციები ან მკურნალობა არ გამოვლინდა NRTI- ის ხერხემლის თერაპიისას ტივიქის 50 მგ დღეში ერთხელ მკურნალობისას არანამკურნალევი პაციენტებში (SPRING-1, SPRING-2, SINGLE და FLAMINGO კვლევები). მკურნალობა გამოცდილ პაციენტებზე ჩატარებულ SAILING კვლევაში (და ინტეგრეიზისგან თავისუფალ) (n=354 დოლუტეგრავირის შტოში), მკურნალობისას 48 კვირაზე დაფიქსირდა ინტეგრეიზის ცვლილება 17-დან 4 ვირუსული უკმარისობის სუბიექტში, რომლებიც იღებდნენ დოლუტეგრავირს. ამ ოთხიდან, 2 სუბიექტს ჰქონდა უნიკალური R263K ინტეგრეიზის ჩანაცვლება, რომელთა მაქსიმალური FC იყო 1.93, 1 სუბიექტს ჰქონდა პოლიმორფული V151V / I ინტეგრეიზებული ჩანაცვლება მაქსიმალური FC 0.92-ით და 1 სუბიექტს ჰქონდა წინასწარ არსებული ინტეგრეიზის მუტაციები და სავარაუდოდ იყო ინტეგრეიზ-გამოვლილი ან დაინფიცირებული იყო ინტეგრეიზის რეზისტენტული ვირუსით (იხილეთ კლინიკური კვლევები).

რეზისტენტულობა in vivo: ინტეგრეიზის ინჰიბიტორი რეზისტენტულ პაციენტებში

VIKING-3 კვლევა იკვლევდა ტივიქის (პლუს ოპტიმიზირებული ფონური თერაპია) სუბიექტებში, რომლებსაც ჰქონდათ წინსწრებითი INI რეზისტენტობით. ოცდათექვსმეტ სუბიექტს (36/183) ჰქონდა პროტოკოლით განსაზღვრული ვირუსული უკმარისობა 24 კვირამდე. აქედან, 32 საბაზისო და PDVF რეზისტენტობის მონაცემები დაწყვილდა ანალიზისთვის და 17/32 (53%) მკურნალობისას წარმოიქმნა მუტაციები. მკურნალობისას წარმოქმნილი შემდეგი მუტაციები ან მუტაციური ნაერთები

გამოვლინდა – L74L/M (n=1), E92Q (n=2), T97A (n=9), E138K/A/T (n=8), G140S (n=2), Y143H (n=1), S147G (n=1), Q148H/K/R (n=4), N155H (n=1) და E157E/Q (n=1). 17-დან 14 სუბიექტი ვირუსით, რომელიც ამჟღავნებდა მკურნალობისას წარმოქმნილ მუტაციას და სახლობდა Q148 გასასვლელში, სადაც ვირუსი წარმოდგენილია საბაზისოდ ან ისტორიულად. სხვა ხუთი სუბიექტი განიცდიდა PDVF-ს 24-დან 48 კვირის შუალედში და 5-დან 2 ჰქონდა მკურნალობისას წარმოშობილი მუტაციები.

დაფიქსირებული მკურნალობისას წარმოშობილი მუტაციები ან მუტაციური ნაერთები იყო L74I (n=1), N155H (n=2).

VIKING-4 კვლევა იკვლევდა ტივიქეის (პლუს ოპტიმიზირებული ფონური თერაპია) იმ სუბიექტებში, რომლებსაც ჰქონდა პირველადი გენოტიპური რეზისტენტობა INIs-ზე 30 სუბიექტის სკრინინგისას. აღმოჩენილი მკურნალობისას წარმოშობილი მუტაცია შეესაბამებოდა VIKING-3-ის კვლევაში აღმოჩენილ შედეგებს.

გავლენა ელექტროკარდიოგრაფიაზე

რანდომიზირებულ, პლაცებო კონტროლირებად, ჯვარედინ ცდაში 42 ჯანმრთელმა სუბიექტმა ორალურად მიიღო პლაცებოს ერთჯერადი დოზა, DTG 250 მგ სუსპენზია (ექსპოზიცია დაახლოებით 50 მგ ერთხელ დღეში ყოველდღიური დოზა 3-ჯერადად სტაბილურ მდგომარეობაში), და მოქსიფლოქსაცინი (400 მგ, აქციური კონტროლი) შემთხვევით მიმდევრობაში. დოლუტეგრავირმა არ გაახანგრძლივა QTc შუალედი 24 საათამდე დოზის შემდგომ. საბაზისო მაჩვენებლის და პლაცებოს დარეგულირების შემდგომ, მაქსიმალური საშუალო QTc ცვლილება Fridericia კორექციის მეთოდზე დაყრდნობით (QTcF) იყო 1.99 msec (1-ცალმხრივი 95% ზედა CI: 4.53 msec).

გავლენა თირკმლის ფუნქციებზე

